



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 9
28/02/2020

9-09-4-202002281803



თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტით
გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“
ფარგლებში პროექტების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტით
გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“
ფარგლებში პროექტების შერჩევის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს კონკურსანტის მიერ წარსადგენი განაცხადისა და სააპლიკაციო ფორმა
დანართი №2-ის შესაბამისად.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი
ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის
გამზ. №41).

გიგა ორკოდაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტით
გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“
ფარგლებში პროექტების შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში, საუკეთესო პროექტები შეირჩევა კონკურსის საფუძველზე.
- 1.2. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს თელავის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომლის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს თელავის მუნიციპალიტეტის მერი.
- 1.3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლება თელავის მუნიციპალიტეტში 16-29 წლის მცხოვრებ ახალგაზრდებს, საინიციატივო ჯგუფებს ან/და ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს.
- 1.4. პროექტი უნდა განხორციელდეს და დასრულდეს 2020 წელს.
- 1.5. პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს.
- 1.6. პრიორიტეტი მიენიჭება ახალგაზრდულ პროექტებს შემდეგი მიმართულებით:

ა) ნოვაციური/ინოვაციური;

ბ) ინფრასტრუქტურულ ინიციატივებს, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული მიმართულების განვითარებას.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ახალგაზრდების გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, მათი ნოვაციური/ინოვაციური ინფრასტრუქტურული ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც საშუალებას მისცემს კონკურსანტებს ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე დააყენონ მათთვის საჭირო ინიციატივები.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა

3.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შევსებული განაცხადი და სააპლიკაციო ფორმა;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

გ) სასურველია წარმოდგენილ იქნეს კვლევა, რომელიც მიუთითებს პროექტის საჭიროებაზე.

3.2 დოკუმენტები კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით.

3.3 კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

3.4 თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, საქმისწარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

4.1 კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:

- ა) დოკუმენტების მიღება;
- ბ) დოკუმენტების განხილვა.

4.2. დოკუმენტების წარდგენა ხდება თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურში, რომელიც შემოსულ მასალებს გადასცემს შესაბამის კომისიას.

4.3. დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კომისია არ განიხილავს განაცხადს.

4.4. კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება დოკუმენტების დეტალური განხილვა

4.5. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი პროექტების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) პროექტის აქტუალობა - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა, მინიმალური შეფასება 0 ქულა;

ბ) პროექტის ინოვაციურობა/ნოვაციურობა და კრეატიულობა - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა, მინიმალური შეფასება 0 ქულა.

გ) მოსარგებლეთა/მონაწილეთა რაოდენობა - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა, მინიმალური შეფასება 0 ქულა;

დ) მდგრადობა პროექტის დასრულების შემდეგ - მაქსიმალური შეფასება 10 ქულა, მინიმალური შეფასება 0 ქულა.

4.6. შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა საერთო ჯამის შესაბამისად.

მუხლი 5. კონკურსის ჩატარებისა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები

5.1. განაცხადებების მიღება დაიწყება მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ თელავის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდსა და ოფიციალურ Facebook გვერდზე კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსების დღიდან და დასრულდება მიმდინარე წლის 03 აპრილს 18:00 საათზე.

5.2. კომისია განიხილავს შემოსულ განაცხადებს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კონკურსანტს აცნობებს კონკურსის დასრულებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 6. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

6.1. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

6.2. კომისია:

ა) ამოწმებს წარმოდგენილი განაცხადების წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას, განსაზღვრავს იმ კონკურსანტთა სიას, რომელთა მიერ

წარმოდგენილი პროექტები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

ბ) განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ახდენს მათ შეფასებას;

გ) წარუდგენს მერს წერილობით ინფორმაციას კონკურსის შედეგების შესახებ.

6.3. კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

6.4. გამარჯვებულად ჩაითვლება ის პროექტ(ებ)ი, რომელიც მიიღებს ქულათა მაქსიმალურ რაოდენობას.

6.5. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით კომისიის მდივნის მიერ 2 სამუშაო დღის ვადაში.


6.6. ოქმს ადგენს კომისიის მდივანი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

6.7 კომისიის მდივანი არ არის კომისიის წევრი. მდივანი შეიძლება იყოს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფლებამოსილი საჯარო მოხელე, რომელსაც ამ ფუნქციას განუსაზღვრავს შესაბამისი სამსახურის უფროსი.

მუხლი 7. კონკურსში გამარჯვებული პროექტის განხორციელება

კონკურსში გამარჯვებული პროექტები გადადის თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში და მათზე ეტაპობრივად განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

გიგა ორკოდაშვილი



საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

კონკურსანტის მიერ წარსადგენი განაცხადის ფორმა

თელავის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ შოთა ნარეკლიშვილს

განმცხადებელი:-----

პ/ნ -----

მისამართი:-----

ტელ. ნომერი:-----

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო შოთა,

წარმოგიდგენთ, განაცხადის ფორმას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით.

გთხოვთ, განიხილოთ განაცხადი „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის კონკურსში“ მონაწილეობის მისაღებად.

დანართი ----- ფურცელი.

განმცხადებლის ხელმოწერა:-----

თარიღი: -----

კონკურსანტის მიერ წარსადგენი სააპლიკაციო ფორმა

თელავის მუნიციპალიტეტის მერია

(პროექტის სახელწოდება)

1. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ:

ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, ან ფიზიკური პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი (თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია):

ორგანიზაციის /ფიზიკური პირის/ გამოცდილებისა და ძირითადი საქმიანობის მოკლე აღწერა:

2. ინფორმაცია პროექტის შესახებ

პრობლემის არსი:

პროექტის მიზანი:

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტით მოსარგებლეთა რაოდენობა და სამიზნე ჯგუფის აღწერა:

3. პროექტის დაწყება-დასრულების თარიღი:

4. ხარჯთაღრიცხვა:

№	სამუშაოების/მომსახურების/ საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი

პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: _____

დამატებითი ინფორმაცია:

5. პროექტის საკონტაქტო პირი/ორგანიზაციის წარმომადგენელი:


სახელი, გვარი

ტელეფონის ნომერი, E-mail:

განმცხადებლის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

გიგა ორკოდაშვილი



საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო